



## 2020 წელს ევროპაში ქრისტიანთა მიმართ სიძულვილის ნიადაგზე გამოწვეული დანაშაულებები მკვეთრად მატულობს



ეუთოს ახალი ანგარიშის მიხედვით, რომელიც ამა წლის 16 ნოემბერს გამოქვეყნდა, ევროპაში ქრისტიანების წინააღმდეგ სიძულვილით გამოწვეული დანაშაულები 2020 წელს საგრძნობლად გაიზარდა.

ეუთოს ანგარიშში, რომელიც ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთანაა დაკავშირებული, მოხსენებულია 980 თავდასხმაზე ქრისტიანებზე. ესენია კათოლიკური ტაძრების დანვა, წმინდა ძღვენის შეურაცხყოფა და ძარცვა, გამოსვლები მღვდლების წინააღმდეგ და ანტიკათოლიკური წარწერები სამლოცველო და საღვთისმსახურო შენობებზე, მათ შორის აბორტის უფლების მოძრაობის აქტივისტების მიერ. 2019 წელს საგრძნობლად ნაკლები თავდასხმა დაფიქსირდა ქრისტიანებზე, კერძოდ 595

## შემთხვევა.

ასევე აღნიშნულია ეკლესიის საკუთრებაზე თავდასხმების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდაც – 2019 წელს 459-დან 2020 წელს 871-მდე. ამავდროულად, ადამიანების წინააღმდეგ ბოროტი ქმედებები და ძალადობრივი თავდასხმები იმავე პერიოდში 80-დან 56-მდე შემცირდა. ქრისტიანების წინააღმდეგ სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების ყველაზე დიდი რაოდენობა პოლონეთში დაფიქსირდა – 241 შემთხვევა 2020 წელს, სადაც ჭარბობდა ვანდალიზმი კათოლიკური საკუთრების მიმართებაში, რაც ეკლესიის მიერ აბორტების წინააღმდეგ გამოსვლებს უკავშირდება. ეუთოს ანგარიშში აღნიშნულია 172 ასეთი შემთხვევა გერმანიაში, 159 საფრანგეთში და 113 იტალიაში. წმინდა საყდარმა ეუთოს ევროპაში ქრისტიანთა სიძულვილით მოტივირებული 150-ზე მეტი მსგავსი დანაშაულის შესახებ მიანოდა მტკიცებულება.

ორგანიზაციამ ასევე გამოაქვეყნა მონაცემები რწმენისადმი სიძულვილის, ანტისემიტიზმის, რასიზმისა და სხვა მოტივების ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებზე – საერთო ჯამში, ანგარიშში მოყვანილია სიძულვილის ნიადაგით 7181 ასეთი დანაშაულის შემთხვევა. თუმცა, ქრისტიანების წინააღმდეგ სიძულვილით ჩადენილი დანაშაულების რიცხვი, რა თქმა უნდა, ბევრად აღემატება მოყვანილ მაჩვენებლებს, რადგან ეუთოს 57 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 11-მა წარმოადგინა თავისი სტატისტიკა მსგავსი დანაშაულების თაობაზე.

მადლენ ენცლბერგერი, „ქრისტიანთა მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ობსერვატორიის“ (Observatory of Intolerance and Discrimination against Christians, OIADACE) ხელმძღვანელი ვენაში (ავსტრია), აღნიშნავს, რომ მასმედიის საშუალებები და პოლიტიკოსები თავს იკავებენ და იშვიათად „ახსენებენ ქრისტიანთა წინააღმდეგ მიმართულ სიძულვილის ინციდენტებს პირველ რიგის სოციალურ პრობლემებს შორის“. „ეუთოს ანგარიში ასახავს მხოლოდ აისბერგის მწვერვალს, მხოლოდ დანაშაულების ოფიციალურ ქრონიკას, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მრავალი წლის განმავლობაში“, – აღნიშნა ენცლბერგერმა. – და მაინც ეს არის დაუჩინებელი მონოდება საზოგადოების გაღვიძებისა და გულგრილობის დასაძლევად ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტის გავრცელების წინაშე“. ეუთოს ამჟამინდელ ანგარიშში ქრისტიანთა დევნა შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა:

ვანდალიზმის აქტები აბორტის მომხრეების მხრიდან. ეს დანაშაულები ხშირად გამოწვეულია კათოლიკური ეკლესიის სიძულვილით, მის მიერ აბორტის უარყოფის გამო. არსებობს მონაცემები 2020 წელს პოლონეთში ეკლესიებზე შეურაცხმყოფელი წარწერების 100-ზე მეტი შემთხვევის შესახებ, ყველაზე ხშირად ანტიქრისტიანული და სატანისტური ლოზუნგებითა და სიმბოლოებით, ასევე ხშირად ლგბტქ სიმბოლოებით. მაგალითად, აბორტის მომხრე აქტივისტებმა, შავი საღებავით შელესეს 2020 წლის ოქტომბერში პოლონეთის კათოლიკურ სასაფლაოზე არსებული აბორტირებული ბავშვების ძეგლი; სხვა სასაფლაოზე ნაციზმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ჯვარი შეურაცხყვეს; თავს დაესხნენ მლოცველებს კათოლიკური ტაძრის მახლობლად და დაუშინეს მათ ბოთლები, ქვები და ცეცხლსასროლი იარაღი, რამდენიმე მორწმუნე დაჭრეს. მსგავსი დანაშაული ესპანეთშიც დაფიქსირდა. იქ, 2020 წელს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მონასტერი და ოთხი ეკლესია ვანდალურად დაარბიეს, ხოლო მონასტერში ქალთა უფლებების დამცველებმა ჩაშალეს ღვთისმსახურება, ყვიროდნენ ანტიქრისტიანულ ლოზუნგებს.

კათოლიკური ეკლესიების დაწვა განხორციელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთსა და იტალიაში. მაგალითად, გერმანიაში თავდამსხმელებმა კათოლიკურ ეკლესიაში აალებადი შემადგენლობის მქონე სითხით სკამები დაასველეს და ცეცხლი წაუკიდეს. 2020 წლის თებერვალში „პროტესტის გამომხატველები“ საფრანგეთის კათოლიკურ ტაძარში შეიჭრნენ, ყველგან ექსკრემენტები შეასხეს, შემდეგ კი ტაძრის დაწვა სცადეს და მხოლოდ მისულმა პოლიციამ მოახერხა მათთვის ხელის შეშლა. 2020 წლის ოქტომბერში ათმა ნიღბიანმა მამაკაცმა კათოლიკური ეკლესიის კედელთან სანვავით სავსე მანქანა მიაგორა და ცეცხლი წაუკიდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ტაძარს. შვეიცარიაში, 2020 წლის მარტში, დამნაშავეებმა ცეცხლი წაუკიდეს კათოლიკური ეკლესიის საორღანო სივრცეს.

სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები სოციალურ ქსელებში. ესპანეთში 2020 წლის ნოემბერში კათოლიკე მღვდლებს სოციალური მედიის საშუალებით სიკვდილით დაემუქრნენ. პოლონეთის კათოლიკე მღვდლებმაც მიიღეს მსგავსი მუქარა მღვდლის დახვრეტისა და ანტიკათოლიკური ლოზუნგებით. იტალიაში ახლადმოქცეულმა ქრისტიანებმა სოციალური ქსელის მეშვეობით 2020 წლის ნოემბერში ანგარიშსწორების მუქარა მიიღეს. პოლონეთში ქალთა უფლებების აქტივისტებმა სოციალურ ქსელში გაავრცელეს ვიდეო, სადაც ისინი კათოლიკურ ეკლესიას 2020 წლის ოქტომბერში კვერცხებს ესვრიან.

დაუნდობელი თავდასხმები ქრისტიანებზე. მიუხედავად საკარანტინო ზომებისა, ქრისტიანებზე ძალადობა და თავდასხმები გაგრძელდა 2020 წელს, თუმცა ნაკლები სიხშირით, ვიდრე 2019 წელს. ამრიგად, 2020 წლის ოქტომბერში ნიცაში (საფრანგეთი) ღვთისმშობლის ტაძარში დანით მიღებული ჭრილობების შედეგად სამი ადამიანი დაიღუპა. მღვდელი, რომელიც ფართოდ ცნობილი იყო მიგრანტებისა და უსახლკაროებისადმი თავისი ერთგული მსახურებით, 2020 წლის სექტემბერში, კომოში (იტალია) თავის სამრევლოსთან ტუნისელმა მამაკაცებმა დანით მოკლეს. 2020 წლის ივნისში ბრიტანეთში ორმა მამაკაცმა კათოლიკე მღვდელს პირდაპირ ეკლესიაში სცემა და ნეკნები ჩაუმტვრია. 2020 წლის ოქტომბერში კიდევ ერთი ბრიტანელი კათოლიკი მღვდელი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა საკათედრო ტაძარში მიცვალებულისთვის წესის-აგების მსახურებისას. 2020 წლის სექტემბერში ესპანეთში მღვდელი ჰოსპიტალიზირებული იქნა მას შემდეგ, რაც საეკლესიო მსახურების დროს მკერდში დაჭრეს, ხოლო პოლონეთში კათოლიკემ მღვდელმა 2020 წლის ოქტომბერში მუცელში დანით რამდენიმე ჭრილობა მიიღო.

სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური

პორტალ „Седмица“-სა და Catholic News Agency -ს მასალებზე დაყრდნობით

ვოტო: Catholic News World

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88496/>